განკარგულება:**g-37.37222152**
თარიღი:**03/08/2022**

განკარგულება N44

ქ. ოზურგეთი 3 აგვისტო 2022 წელი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ - ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილების და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის და 26-ე მუხლების თანახმად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მაღალი გამავლობის ავტოსატრანსპორტო საშუალებების, კერძოდ 2 (ორი) ერთეული ,,Renault Duster“-ის (სახელმწიფო ნომრით **BB-234-BC** საწყისი ღირებულებით 43680 ლარი, ნარჩენი (საბალანსო) ღირებულებით - 32 323 ლარი და 20 თეთრი და სახელმწიფო ნომრით **BB- 236-BC** საწყისი ღირებულებით 43680 ლარი, ნარჩენი (საბალანსო) ღირებულებით - 32 323 ლარი და 20 თეთრი ლარი) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ოზურგეთის მუნიციპალური ინსპექცია“-სთვის უსასყიდლოდ, პირდაპირი განკარგვის წესით, იურიდიული პირის არსებობის ვადით, სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით, გადაცემისათვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ.№14).

მუხლი 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი